

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #009/14<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თინათინ ჯაჯანიძე (სტუდენტი)

### შეკითხვა:

კლიენტის დავალებით გამოსაკითხია მოწმე, რომელიც შესახლებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ორდერის გარეშე მისი გამოკითხვა შეუძლებელია. გამოიწვევს თუ არა ორდერის გამოწერა და გამოკითხვა ეთიკის ნორმების დარღვევას?

### ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ადგენს კლიენტის ინტერესების უპირატესობას სხვა ინტერესებთან მიმართებით, თუმცა, ჩარჩოებს უწესებს ადვოკატს - ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული სტანდარტებით. ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის საფუძველზე ადვოკატს უფლება აქვს იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კონკრეტულ საქმეზე კლიენტის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების დასადასტურებლად წარადგინოს ორდერი. ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ორდერში მითითებული პირის დასაცავად, ამასთან ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ მისთვის არადასაცავ პირზე ორდერის გამოწერა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით, შესაძლოა ჩაითვალოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6.1 მუხლის („ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“) დარღვევად.

### დასკვნა:

ადვოკატის მიერ, მოწმის გამოსაკითხად ორდერის გამოწერა, სავარაუდოდ, გამოიწვევს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6.1 მუხლის დარღვევას, ვინაიდან ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს და ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მასში მითითებული პირის დასაცავად. ამასთან ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/5c7fba026c0f1.pdf/17%20November%202014%20009.14.pdf>